წერილის ნომერი:**37-37232932**
თარიღი: **20/10/2023**

ადრესატი:

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ტარიელ აროშიძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება

(ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკრებულოს თავმჯდომაროს მოადგილე

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც

არის საკრებულოს წევრი: საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს

წევრი: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში): „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარი წევრი

საანგარიშო პერიოდი: 01. 10.2022 – 01.10. 2023 წ.

ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე): მორიგი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 13

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება 12

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი: 39

საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება: 30

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის

არსებობის შემთხვევაში): **-** 2

საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება

(ასეთის არსებობის შემთხვევაში): **-** 2

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა: 19

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება 19

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები: სოფელ ნაღობილევის სკოლის რეაბილიტაცია, სოფ. კონჭკათში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა, ჭაბურღილის მოწყობა სოფ. ნაღობილევში (90 ოჯახის წყლით უზრუნველყოფა), სოფლების: ნაღობილევის, მერიის, ხვარბეთის, თხინვალისა და კონჭკათის სასმელი წყლით უზრუნველყოფის პროექტი.

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა საკრებულოს **2** დადგენილება, საკრებულოს **3** განკარგულება

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: სოფლის მხარდამჭერი პროგრამების პროექტი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ მშენებლობის შეჩერების მიღებული სამართლებრივი შედეგების განხორციელების წესი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რეგფონდებიდან დაფინანსებული და მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები.

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: **-**

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: 32

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა: 185

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია, სასმელი წყლით მოსახლეობის ურუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების და დაჩქარება, სოფ. ორმეთის მიმართულების გზის რეაბილიტაციის სამუშაოებისდაწყება, სოფ. მერიის გოგორეთის უბანში მინი-სტადიონის მოწყობა.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები): შესაბამისი საკითხების კომისიებზე განხილვის შედეგად მომზადებული დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები. შუამდგომლობების მომზადება მუნიციპალიტეტის მერიის და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამის სამსახურებისათვის, მოსახლეების საჭიროებებზე ზეპირი განცხადებები. აღნიშნული ფორმების გამოყენების გზით 100-ზე მეტ ბენეფიციარს გაეწია სხვადასხვა სახის დახმარებები, გადაიხურა საცხოვრებელი სახლები, მოეწყო შიდა სასოფლო გზები და სხვა.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: ტრენინგებში (2ჯერ) და სემინარებში (ჯერ) მონაწილეობა, სოფელ მერიაში 2 ერთეული საწარმოსთვის ფუნქციონირების ხელშემწყობი პირობების შექმნა და შესაბამისად ამ საწარმოებში ადგილობრივი მუშახელის დასაქმების მაჩვენებლის ზრდა, სპორტულ, კულტურულ და სხვა მიმართულების ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა, სტიქიით დაზარალებულთათვით ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდებისა და სხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობა.

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებულ შედეგები: დაიგო 1200 გრ/მ ბეტონის საფარი შიდა სასოფლო გზები, უახლოეს პერიდში დაიწყება საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა სოფ. კონჭკათში, ექსპლუატაციაში გავიდა სასმელი წყლის ჭაბურღილი; რეაბილიტირებული იქნა 100-ზე მეტი საცხოვრებელი სახლის სახურავი, მოეწყო მეწყერის ჩასახვის საშიშროების მქონე ადგილების გამაგრებისა და შეკავების დამცავები.

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ: ინფრასტრუქტრული პროექტების ,,გზები, სასმელი წყალი, ამბულატორია სკოლებში“ პროექტების განხორციელების დაჩქარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, მიმდინარე წელს განვითარებული მეწყრული პროცესებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების დაჩქარებული ტემპების უზრუნველყოფა.

ტარიელ აროშიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე